ხელშეკრულება

ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის

(ჩუქების) შესახებ

ქ. ქუთაისი

30.07. 2018 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ. „ასოციაცია ატუ" (შემდგომში **„მჩუქებელი")** 18.06.2018წ. N380/04/052 წერილის საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილია ა(ა)იპ. „ასოციაცია ატუ"-ს გამგეობის თავმჯდომარის როსტომ ჩაბრაძის (პ/ნ 38001009653) სახით და მეორეს მხრივ, სახელმწიფო, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში **„დასაჩუქრებული")**, რომელიც წარმოდგენილია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მომსახურების ცენტრის უფროსი სპეციალისტის დარეჯან ხუჯაძის (პ/ნ 60001047713) სახით (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ 20.07.2018წ. №13/41139 გაცემული მინდობილობა) სახით შემდგომში ყველანი ერთად მოხსენიებულნი **„მხარეებად"**, ვმოქმედებთ რა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N391 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №152 დადგენილების საფუძველზე, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში **„ხელშეკრულება"**):

„მხარეები" თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

„მჩუქებელმა", ა(ა)იპ. „ასოციაცია ატუ"-მ გადასცა, ხოლო **„დასაჩუქრებულმა"**, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ", უსასყიდლოდ, სახელმწიფოს საკუთრების უფლებით, მიიღო ა(ა)იპ. „ასოციაცია ატუ"-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

1.1 „დასაჩუქრებული" საკუთრებაში იღებს:

- ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის ქ. N17ა-ში (სოფელი სხვიტორის ტერიტორია) მდებარე 6414.0 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ. N35.02.57.051) განთავსებული საჩხერის სამედიცინო ცენტრის ადმინისტრაციულ შენობას - ღირებულება შეადგენს 5 024 461 ლარს. არქივის შენობას - ღირებულება შეადგენს 24 575 ლარს. გამშვები პუნქტის შენობას - ღირებულება შეადგენს 12 862 ლარს.

1.2 **„ქონებაზე" „მჩუქებლის"** საკუთრების უფლება დასტურდება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" მიერ გაცემული ამონაწერებით.

მუხლი 2. მხარეთა უფლება და მოვალეობა

2.1. **„მჩუქებელი"** ადასტურებს, რომ ქონებას არ აქვს დაფარული ნაკლი.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის გადაცემის დრო და ხელშეკრულების პირობა

3.1. **„დასაჩუქრებული"** ვალდებულია დაარეგისტრიროს **„ქონებაზე"** საკუთრების უფლება და გაწიოს შესაბამისი ხარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.2. **„ქონება" „დასაჩუქრებულს"** საკუთრებაში და მფლობელობაში გადაეცემა **„ხელშეკრულების"** საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 4. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

4.1. **„ხელშეკრულება"** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

4.2. **„მხარეთა"** შორის დავის არსებობის შემთხვევაში, სადავო საკითხი წყდება **„მხარეთა"** შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს საქართველოს საერთო სასამართლოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

5.1. **„ხელშეკრულება"** ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია ქონების **„დასაჩუქრებულის"** საკუთრებაში გადაცემამდე.

5.2. **„ხელშეკრულების"** შემდგომი ცვლილება და დამატება შესაძლებელია ნებისმიერ დროს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5.3. **„ხელშეკრულების"** ნებისმიერი სახის ცვლილება, დამატება და დანართი წარმოადგენს **„ხელშეკრულების"** განუყოფელ ნაწილს. მისთვის დაცული უნდა იყოს იგივე ფორმა, რაც გათვალისწინებულია **„ხელშეკრულებისთვის"**.

5.4 **„ხელშეკრულება"** შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა **„მხარეებს"** და **სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს**. თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. თითოეულ მხარესთან ინახება ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

მუხლი 6. მხარეთა მისამართები და ხელმოწერები.

„მჩუქებელი"

ა(ა)იპ. „ასოციაცია ატუ"-ს

წარმომადგენელი

„დასაჩუქრებული"

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის

მომსახურების სენტრის უფროსი სპეციალისტი

როსტომ ჩაბრაძე

დარეჯან ხუჯაძე